



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი

31 დეკემბერი 2014 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №77

ნათელა ლომჯარიას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 29 დეკემბრის N7 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დანიშნოს ნათელა ლომჯარია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე 2014 წლის 31 დეკემბრიდან და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 750 ლარით.
2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია